



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მალრაძე დავით ელგუჯას ძე



დ. მალრაძე

მალრაძე დავით ელგუჯას ძე (დ. 28. VI. 1962, თბილისი), პოეტი. საქართველო. სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (2005). დაამთავრა თსუ-ის ფილოლოგიის ფაკულტეტი (1984). მუშაობდა ჟურნ. „ნიანგსა“ (1984–85) და „მნათობში“ (1985–91). იყო თსუ-ის მეცნიერი თანამშრომელი (1991); გაბ. „ლიტერატურული საქართველოს“ მთ. რედაქტორის მოადგილე (1991–92); ქართული პენცენტრის ერთ-ერთი დამფუძნებელი (1991), ამავე ცენტრის პრეზიდენტი (1997–2013); ჟურნ. „ცისკრის“ მთ. რედაქტორი (1992); საქართველო. კულტურის მინისტრი (1992–95); მე-5 მოწვევის პარლამენტის წევრი (1999–2002); პირველი კრებული „გულო, ჩადეე საგულესა“ გამოსცა 1984. არის საქართველო. ახლანდ. ჰიმნის ტექსტის შემდგენელი. მ-ის პოეზია თარგმნილია გერმ., ინგლ., ფრანგ., უნგრ., რუს., იტალ., ჩერქეზულ, შვედურ, თურქ., არაბულ, ესპანურ, აფხაზურ, ოსურ ენებზე.

მიღებული აქვს ჯილდოები და პრემიები: ღირსების ორდენი (2005); რომის პაპ ბენედიქტ XVI-ის ევროპის საერთაშ. მედალი კრებულისთვის „Salve“ (2006); იტალიის სახელმწიფო პრიზი „ანასილაოსი“ (2014); ჯ. ლეოპარდის პირველი პრემია – ოქროს მედალი წიგნისთვის „ექო“ (2016); სალვატორე კუაზიმოდოს საერთაშ. პრიზი ლიტ-რის დარგში განსაკუთრებული წვლილისთვის (2017); იტალიის სახელმწიფო უმაღლესი ჯილდო – ვარსკვლავის ორდენი (2018); დანტეს ოქროს მედალი (2019). გაიმარჯვა ებოლიში (იტალ.) გამართულ პოეზიის მესამე საერთაშ. კონკურსზე (2011). ამავე წელს დასახელდა ნობელის პრემიის ნომინანტად ლიტ-რამში.

თბზ.: მარულა, თბ., 1987; შანდლის ასული, თბ., 1990; ლექსები, თბ., 1994; გახუნებული აფიშა, თბ., 1998; კულტურა-მეფური ნაკლი, თბ., 2001; ნიკალა, თბ., 2002; ქარი ფოთლების ბილეთს არიგებს, თბ., 2006; შეჩერდი, წამო! თბ., 2008; შენთვის, თბ., 2008; ჯაკომო პონტი, თბ., 2012; სარკმელი, თბ., 2014; Ave, Eva, თბ., 2017; უსადაურო, თბ., 2018; ბარაქიანი მიწა, თბ., 2020; მეტაფიორა, თბ., 2021.

ს. მეტრეველი
